საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 969

თბილისი „26“ 12 2016 წ

უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ჩ[1]“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2016 წლის 21 დეკემბრის N1518127 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

ალექსანდრე ჯეჯელავა

დამტკიცებულია:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
2016 წლის 26.12 № 969 ბრძანებით

„უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა“

პროგრამული კოდი: 32 04 03

2016 წელი

პროგრამის დასახელება: უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ზოგადი მიზანი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის მოდერნიზაციის ხელშეწყობა.

პროგრამის დასრულება	**2016 წლის 31 დეკემბერი**
პროგრამის ჯამური ბიუჯეტი	**200 000 ლარი**
შემუშავების თარიღი	**2016 წელი**
პროგრამის კოორდინატორი	**უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ირინე დარჩია**

პროგრამის აქტუალობა:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დღეისათვის არსებული დაფინანსების სისტემა მხოლოდ ნაწილობრივ იძლევა საშუალებას, რომ მათ შეძლონ გაუმკლავდნენ ყველა იმ გამოწვევას, რომელთა წინაშეც დგანან სწავლებისა და კვლევის ხარისხის განვითარების კუთხით. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგეგმება უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემის მოდიფიკაცია ქვეყნის საჭიროებებისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ დაფინანსების ახალი მოდელი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მეტ ავტონომიურობას მიანიჭებს ფინანსური რესურსების განკარგვის პროცესში, რაც, თავის მხრივ, გაზრდის მათ პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას როგორც საუნივერსიტეტო საზოგადოების, ისე სახელმწიფო სტრუქტურების წინაშე.

ფინანსური ავტონომიურობისა და ანგარიშვალდებულების ზრდა პირდაპირ კავშირშია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრირებასთან და მოითხოვს უფრო მოქნილ, ქმედით და ეფექტიან მმართველობას. შესაბამისად, უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავებამდე და მის ამოქმედებამდე, მნიშვნელოვანია მოხდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის მოდერნიზაცია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, რისი წინაპირობაც მართვის არსებული სისტემის შეფასება და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი, სწრაფი და ქმედითი ზომების მიღებაა.

იმისათვის, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოხდეს მართვის სისტემის მოდერნიზაცია, მნიშვნელოვანია შემდეგი აქტივობების განხორციელება: მართვის არსებული სისტემის შეფასება შესაბამისი შესაბამისი მაღალი რეპუტაციისა და საერთაშორისო გამოცდილების მქონე ორგანიზაციის მიერ, რომელსაც გააჩნია სათანადო ცოდნა და რესურსი საერთაშორისო სტანდატებთან და საუკეთესო პრაქტიკებთან შესაბამისობის დადგენის უზრუნველსაყოფად; მართვის არსებული სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების

იდენტიფიკაცია; მართვის გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკების საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციების, სამოქმედო გეგმის, ინსტრუქციების, გაიდლაინების შემუშავება, ყველა დაინტერესებული მხარის მაქსიმალური ჩართულობით და სხვა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უნდა მოხდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების შერჩევა პროგრამის პილოტირების მიზნით.

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი:

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

პროგრამის ინტერვენციის (განხორციელების) სტრატეგია

1. პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენილი პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განხილვისა და შესაბამისი დაფინანსების გამოყოფის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისათვის რეკომენდაციის წარდგენის მიზნით იქმნება შესაბამისი კომისია.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენილი პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის განხილვისა და შესწავლის შემდგომ კომისია უფლებამოსილია მიიღოს რეკომენდაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დაფინანსების:

ა) მოთხოვნილი ოდენობით გამოყოფის შესახებ;

ბ) მოთხოვნილი ოდენობისაგან განსხვავებული ოდენობით გამოყოფის შესახებ;

გ) გამოყოფაზე უარის თქმის შესახებ.

3. კომისიის რეკომენდაცია, მისი მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში წარედგინება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

4. პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე ბენეფიციარ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ფორმდება ხელშეკრულებები, რომლებითაც განისაზღვრება პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ცალკეული პირობები.

პროგრამის ფარგლებში შეიძლება დაფინანსდეს შემდეგი აქტივობები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის არსებული სისტემის შეფასება შესაბამისი მაღალი რეპუტაციისა და საერთაშორისო გამოცდილების მქონე ორგანიზაციის მიერ; მართვის არსებული სისტემის SWOT ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და რისკების იდენტიფიკაცია; მართვის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით და სხვა.

პროგრამის სპეციფიკური მიზნები:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებებში არსებული მართვის სისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
2. მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესება, დაწესებულების მიზნების მიღწევა და ამოცანების შესრულება, ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტორუბის გათვალისწინებით.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის პროცესის ღიაობისა და გამჭვირვალობის ზრდის ხელშეწყობა;

მოსალოდნელი შედეგი/შედეგები:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების მართვის არსებული სისტემის შეფასების ანგარიში და SWOT ანალიზი;

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების მართვის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმა;

3. გაუმჯობესებული და მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურება;

4. ბიუროკრატიული და არაეფექტური პროცედურების შემცირება;

5. მართვის თანამედროვე სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკების დანერგვა;

6. დასახული მიზნების მიღწევისა და ამოცანების შესრულების მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	ბიუჯეტი 2016 წ.

32 04 03	უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა	200 000.0
	გრანტები	200 000.0

ანგარიშგება

1. ბენეფიციარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება პროგრამის სპეციფიური მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ წლიურ ინფორმაციას/ანგარიშს წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ შექმნილ მუდმივმოქმედ კომისიას.
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ შექმნილი კომისია განიხილავს პროგრამის ბენეფიციარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების ანგარიშებს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს დასკვნებს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული აქტივობების შესახებ.

პროგრამის შეფასების ინდიკატორები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების მართვის არსებული სისტემის შეფასების ანგარიშის არსებობა;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების მართვის სისტემის SWOT ანალიზის არსებობა;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების მართვის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების არსებობა;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების მართვის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული სამოქმედო გეგმის არსებობა.